საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. ნ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.01.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 011/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. კ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. კ.-სათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით, შემდგომში „დებულება“, გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2020 წლის 22 იანვარს საჩივრით მომართა მ. ნ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. კ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი გასესხებული თანხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით იყო დატვირთული მოვალის - ა. მ.-ს ქონება. მას სურდა საკუთარი თანხის მიღება, რასაც ვერ ახორციელებდა, რადგან მოვალე გარდაცვალა და ბინა მემკვიდრეს არ

ჰქონდა მიღებული. ამ სამართლებრივი პრობლემის მოსაგვარებლად დაუკავშირდა ადვოკატ ნ. კ.-ს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ჰონორარის სახით მოსთხოვა 700 აშშ დოლარი, რომელიც ჩაურიცხა.

1.4 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ გართულდა მევალის მემკვიდრეებთან დაკავშირება. ა. მ.-ს 3 შვილიდან, 2 საქართველოში არ ცხოვრობდა, ერთი შვილი კი გარდაიცვალა მამის გარდაცვალებიდან 1 წელში. რეალურად, სესხის სახით მიცემული თანხა გამოიყენა ამ შვილის მეუღლემ - მ. მ.-მ, რომელთანაც ა. მ.-ს შვილი ოფიციალურ ქორწინებაში არ იმყოფებოდა. მ. მ. დაპირდა, რომ ბინას გააქირავებდა და ქირის თანხით გადაიხდიდა მის ვალს, რაც არ შეასრულა.

1.5 ადვოკატი ნ. კ. ორჯერ შეხვდა მ. მ.-ს და დააწერინა ხელწერილი ვალის აღიარების თაობაზე; ასევე, ადვოკატმა განცხადება შეიტანა პოლიციაში და სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, თუმცა სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო, რადგან მოპასუხედ მითითებული პიროვნება - ა. მ. იყო გარდაცვლილი.

1.6 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 10 თვის მანძილზე ადვოკატმა საქმე სასამართლო ეტაპამდე ვერ მიიყვანა, რის გამოც მან ადვოკატს გამოართვა თავისი საქმის მასალები და ითხოვს საადვოკატო მომსახურების თანხის ნაწილის დაბრუნებას.

1.7 2020 წლის 28 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ მისი მიზანია არა ადვოკატის დისციპლინირება, არამედ საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი თანხის ნაწილის დაბრუნება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. კ.-მ საპროცესო კოლეგიის 2020 წლის 24 სექტემბრის სხდომაზე განმარტა, რომ მასთან მივიდა დიდი ხნის ნაცნობი თ. ე. და მიიყვანა ნათესავი - მ. ნ.-ს შვილი, რომელსაც მანამდე არ იცნობდა. მ. ნ.-ს შვილმა აუხსნა, რომ დედამისს სესხის სახით ჰქონდა მიცემული 20 000 აშშ დოლარი მ. მ.-სათვის და სესხის უზრუნველსაყოფად, იპოთეკით იყო ბინა დატვირთული. ისინი შეთანხმდენენ, რომ ადვოკატი მოიძიებდა საქმისათვის საჭირო ინფორმაციას და იმ შემთხვევაში, თუ მ. მ. თანხას ნებით არ დააბრუნებდა, მიმართავდნენ სასამართლოს. აქვე განმარტავს, რომ კლიენტისათვის გარანტია არ მიუცია, რადგან საქმის შედეგი მხოლოდ მის მუშაობაზე არ იყო დამოკიდებული. საადვოკატო მომსახურების პირობებზე შეთანხმების შემდეგ, 2019 წლის 19 აპრილს მ. ნ.-მ მისცა მინდობილობა.

2.2 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტისაგან ჰონორარის სახით მიიღო 700 აშშ დოლარი.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტს თავიდანვე აცნობა, რომ თუ მ. მ. თავისი ნებით არ დაუბრუნებდა ვალს და მიმართავდნენ სასამართლოს, საქმის წარმოებას წლები დასჭირდებოდა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტს სთხოვა მისთვის მიეტანა ხელთ არსებული დოკუმენტები. კლიენტმა აცნობა, რომ დოკუმენტები ჰქონდა მის ყოფილ ადვოკატს. ნ. კ.

დაუკავშირდა მ. ნ.-ს ყოფილ წარმომადგენელს, რომელიც ადვოკატი არ არის და მოსთხოვა საბუთების გადაცემა. პიროვნებამ განუმარტა, რომ დოკუმენტები გადასცა მ. ნ.-ს. ამ კომუნიკაციაში დაიკარგა დაახლოებით 2 თვე. აღმოჩნდა, რომ მ. მ.-ს ხელწერილი ვალის აღიარების შესახებ, იყო დაკარგული. დანარჩენი დოკუმენტაცია ადვოკატმა თავად მოიძია და მიიღო სააღსრულებო ბიუროდან.

2.5 ადვოკატმა განმარტა, რომ დიდი ძალისხმევა, დაახლოებით 3 თვე დასჭირდა იმისათვის, რომ მევალეს, მ. მ.-ს თავიდან დაეწერა ვალის აღიარების ხელწერილი. მან სტატეგიულად შეიტანა საჩივარი პოლიციის განყოფილებაში მ. მ.-ს მიმართ, რის საფუძველზეც გამოიკითხა მ. ნ., თუმცა რადგან განცხადებაში მოყვანილი ფაქტები არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს, გამოძიება არ დაწყებულა.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ რადგან მ. მ.-სთან ა. მ.-ს შვილი არ იყო ოფიციალურ ქორწინებაში, მან დაიწყო ინფორმაციის მოძიება ა. მ.-ს მემკვიდრეთა შესახებ. მან გაიგო მევალის მემკვიდრეების მისამართი და მისული იყო მათ მისამართზე, სადაც შეიტყო რომ ა. მ.-ს შვილი და რძალი იყვნენ წასული გერმანიაში, შეიტყო რძლის სამუშაო ადგილი, სადაც მისული იყო, თუმცა რძალი მივლინებით იყო წასული საქართველოდან. მან ეს ინფორმაცია მიაწოდა თ. ე.-ს, რომელმაც თავის მზრივ, აცნობა მ. ნ.-ს. მევალის ა. ე.-ს ერთი შვილი კონტაქტზე არ გამოიდოდა, ხოლო მეორე შვილი, არ ცხოვრობდა საქართველოში.

2.7 ადვოკატი განმარტავს, რომ ელოდებოდა რძლის საქართველოში ჩამოსვლას, რომ სარჩელით მიემართა სასამართლოსთვის და სასამართლოს თავისი გადაწყვეტილებით მემკვიდრე დაევალდებულებინა მიეღო სამკვიდრო, საიდანაც მოხდებოდა მ. ნ.-ს მოთხოვნის აღსრულება.

2.8 ადვოკატის განმარტებით, კლიენტმა მასთან ურთიერთობა გაწყვიტა 2019 წლის დეკემბერში იმ საფუძვლით, რომ უკმაყოფილო იყო მომსახურებით, რადგან სხვა ადვოკატებმა განუმარტეს რომ ამ საქმის მოგვარება შეიძლებოდა 2 თვეში.

2.9 ადვოკატი განმარტავს, რომ მ. ნ.-ს ხშირად ხვდებოდა თ. ე.-ს ოფისში და მათ შეხვედრას ესწრებოდა თ. ე..

2.10 ადვოკატი განმარტავს, რომ მიღებული ჰონორარის ფარგლებში უნდა მოეძიებინა მემკვიდრეები და გაემზადებინა საქმე სასამართლოში წარსადგენად. სასამართლოში წარმომადგენლობისათვის ის ჰონორარზე კლიენტთან შეთანხმებული არ ყოფილა. მან ვალდებულება სრულად შეასრულა, იპოვნა მემკვიდრეები და საქმე მზად იყო სასამართლოში შესატანად. თუმცა, კლიენტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე, მისი ინტერესების წარმოდგენა სასამართლო ეტაპზე ვერ შეძლო.

3. ადვოკატის მოწმე თ. ე.

3.1 საპროცესო კოლეგიის 2020 წლის 24 სექტემბრის სხდომაზე ადვოკატის მოწმემ თ. ე.-მ, რომელიც არის საჩივრის ავტორის სიძე, განმარტა, რომ მ. მ. მ. ნ.-ს წლების განმავლობაში პირდებოდა თანხის გადახდას და ატყუებდა, ამის გამო აუცილებელი გახდა საქმეში ადვოკატის ჩართვა და მისი რჩევით, მ. ნ.-მ მიმართა ადვოკატ ნ. კ.-ს.

3.2 მოწმის განმატებით, ადვოკატმა მ. ნ.-ს აუხსნა, რომ საქმეს აიღებდა, მაგრამ წარმატებით დასრულების გარანტია არ მიუცია. ადვოკატს გადასცეს თანხა, 700 აშშ დოლარი.

3.3 მოწმის განმარტებით, მის ოფისში არაერთხელ შეხვდნენ მ. მ.-ს და ცდილობდნენ მასთან მოლაპარაკებას, შემდეგ უკვე ვალის აღიარების ხელწერილის მიღებას. მოწმე განმარტავს, რომ საქმის მიმდინარეობის შესახებ ყველა ინფორმაციას პირადად აცნობდა მ. ნ.-ს.

3.4 მოწმე განმარტავს, რომ მ. მ.-სთან მოლაპარაკების პარალელურად, ნ. კ.-მ დაიწყო ინფორმაციის მოძიება მემკვიდრეთა ვინაობისა და კოორდინატების თაობაზე, რადგან მ. მ. არ იყო მევალის შვილის ოფიციალური მეუღლე, თუმცა აქვე ისიც იცოდნენ, რომ ვალად აღებული თანხა მოიხმარა მ. მ.-მ. მევალის ერთი შვილი დროებით იყო წასული გერმანიაში, მოიძიეს ინფორმაცია მის ცოლზეც - რომელიც არის პროფესორი კონკრეტულ უნივერსიტეტში და ისიც არ იყო იმ მომენტისათვის საქართველოში, ხოლო მეორე შვილი ცხოვრობდა ესპანეთში.

3.5 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატს დაახლოებით 2 თვიანი მუშაობა დასჭირდა იმისთვის, რომ მ. მ.-ს დაეწერა ვალის აღიარების ხელწერილი.

3.6 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატის სამოქმედო ტაქტიკა შეთანხმებული იყო კლიენტთან და თავად, როგორც პროფესიით იურისტი, ამ ტაქტიკას სრულად ეთანხმებოდა.

3.7 მოწმის განმარტებით, მას შემდეგ რაც მ. ნ.-ს გაუჩნდა პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მისი აზრით გავიდა დრო და საქმეზე არაფერი იყო გაკეთებული, ის როგორც უხსნიდა, რომ საქმის მოგვარებას სჭირდებოდა გაცილებით მეტი დრო და ასევე უმარტავდა, თუ რას აკეთებდა ადვოკატი.

3.8 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ მიღებულ თანხაში შედიოდა მემკვიდრეთა მოძიება, მ. მ.-ს დაყოლიება კონკრეტული მოქმედებების განხორციელებაზე, პოლიციაში განცხადების შეტანა, ანუ საქმის მომზადება სასამართლოში შესატანად. სასამართლოში წარმომადგენლობის განხორციელება იყო შემდეგი ეტაპი, იმ შემთხვევაში, თუ თანხის ამოღება მოლაპარაკებით ვერ მოხდებოდა. გადახდილი ჰონორარი 700 აშშ დოლარი სასამართლო წარმოებას არ მოიცავდა.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:

4.1 ადვოკატი ნ. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო.

4.2 მ. ნ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2020 წლის 22 იანვარს.

4.3 სადავო მოქმედება განხორციელდა 2018-2019 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2)

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ნ. კ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ნ. კ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მისი საქმე აწარმოა არაკვალიფიციურად - დროულად არ დადგა შედეგი; ადვოკატი არ უბრუნებს საადვოკატო მომსახურების გამოუმუშავებელ ჰონორარს.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.5).

5.2.2 კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.15).

5.3 ადვოკატი იურიდიული მომსახურების გაწევისას დაწვრილებით უნდა ეცნობოდეს საქმის თითოეულ გარემოებას და აფასებდეს სავარაუდო საფრთხეებს, ვინაიდან შესაძლებელია აღნიშნულს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს საქმის კლიენტის ინტერესებისათვის და სასამართლო საქმის შედეგისათვის. საქმის მომზადების მიზნით, ადვოკატის ვალდებულებაა დაცვის პოზიცია და წარმომადგენლობის ტაქტიკა შეათანხმოს კლიენტთან, კლიენტის ინტერსების უპირატესობის გათვალისწინებით. (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე N061/12).

5.4 კლიენტის კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება, სხვა ფაქტორებთან ერთად მოიცავს იმ სამართლებრივი რისკების შეფასებას, რომელიც კონკრეტული მტკიცებულებების გამოკვლევას და ამ მტკიცებულებათა კლიენტის კანონიერ

ინტერესებთან შემხებლობას უკავშირდება (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N096/11).

5.5 ადვოკატების მიერ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ფარგლებში განხორციელებული თითოეული მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი სტრატეგიის ნაწილს. ის დაკავშირებულია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის შედეგთან, რომელიც ეფუძნება მის პროფესიულ გამოცდილებას და კვალიფიკაციას. გაწეული იურიდიული მომსახურების სრულფასოვანი შეფასებისთვის საჭირო იქნებოდა ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიერ საქმის წარმოების მიზნით განხორციელებული თითოეული მოქმედების ხარისხის შეფასება, რისი უფლებამოსილებაც ეთიკის კომისიას არ გააჩნია. ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. კოლეგია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი ან სამართლებრივი დასკვნა, და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე. ეთიკის კომისია ვერ შევა სასამართლოს კომპეტენციაში, რომელსაც შეუძლია წარმომადგენლობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადვოკატისთვის დაკისრება (სსკ 712, 719 და სხვა მუხლები). თუმცა პროფესიული ეთიკა ავალდებულებს ადვოკატს საქმის წარმოების მიზნით შემუშავებული სტრატეგია და საპროცესო მოქმედებები შეუთანხმოს კლიენტს, რაც უკავშირდება საქმის მსვლელობის მნიშვნელოვან დეტალებსა და მოსალოდნელ შედეგებზე, კლიენტის ინფორმირების ვალდებულებას. არაინფორმირებული კლიენტი ვერ მიიღებს გათვითცნობიერებულ გადაწყვეტილებას მის საქმესთან დაკავშირებით, შედეგად ის ვერ იქნება ეფექტიანად ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N083/18).

5.6 მ. ნ.-სა და ადვოკატ ნ. კ.-ს შორის რწმუნებულება NX გაფორმებულია 2019 წლის 19 აპრილს. საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით ადვოკატს მიღებული აქვს თანხა 700 აშშ დოლარი 2019 წლის 19 აპრილს. ადვოკატის სტრატეგიული მოქმედების შედეგად, მ. მ.-მ ვალის აღიარების წერილი დაწერა 2019 წლის 29 ივლისს. ადვოკატმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის VII განყოფილებას განცხადებით მიმართა 2019 წლის 05 ნოემბერს, თუმცა რადგან განცხადებაში მითითებული ფაქტი არ შეიცავდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს, გამოძიება არ დაიწყო (2019 წლის 14 ნოემბრის MIA 1 XX XXXX მიმართვა). ადვოკატმა მოიძია მევალის მემკვიდრეთა შესახებ ინფორმაცია და საქმე მოამზადა სასამართლოში შესატანად.

5.7 საჩივრის ავტორისა და ადვოკატის პოზიციით, ასევე წარმოდგენილი საქმის მასალებით და მოწმის, თ. ე.-ს პოზიციით კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ განხორციელებულია საადვოკატო მოქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავდა მ. ნ.-სათვის სასურველი შედეგის მიღებას. ადვოკატმა საქმის დასრულება ვერ შეძლო კლიენტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე. საქმე თავისი სამართლებრივი შინაარსიდან გამომდინარე, მოითხოვდა ლოგიკურ დროს და ამ ნაწილში, საჩივრის ავტორის პრეტენზია დაუსაბუთებელია.

5.8 მხარეები სადავოდ არ ხდიან საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით 700 აშშ დოლარის გადაცემა-მიღების ფაქტს. ადვოკატისა და მისი მოწმის პოზიციით დგინდება, რომ ნ. კ.-მ ჰონორარი მიიღო საქმის სასამართლო ეტაპამდე მისაყვანად, რაც სრულად და კეთილსინდისიერად განახორციელა. შესაბამისად, კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატებს მიღებული არ აქვთ გამოუმუშავებელი ჰონორარი.

5.9 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ განხორციელებული იურიდიული მოქმედებები მიზნად ისახავდა კლიენტის - მ. ნ.-სათვის სასურველი შედეგის დადგომას. ადვოკატს კლიენტი ინფორმირებული ყავდა ყველა იმ მოქმედების შესახებ, რომელსაც მის სასარგებლოდ ახორციელებდა. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ არ არსებობს ადვოკატის მიმართ, კანონის 5(ა) და ეთიკის კოდექსის 8.5 და 8.15 მუხლების შესაძლო დარღვევით დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.10 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N011/20 ადვოკატ ნ. კ.-ს მიმართ /სიითი N/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/